

დისტანციური კურსები სამოქალაქო საზოგადოებისთვის

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) აცხადებს მიღებას შემდეგ ონლაინ თვითმართულ (self-paced) კურსებზე:

- საზოგადოებრივი ორგანიზაციების გზამკვლევი
- პროექტის ლოგიკა მარტივად
- ლიდერობა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში

კურსებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება დღეიდან და იწარმოებს ავტომატურ რეჟიმში. რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ბმულს <https://ctconline.ge/login/signup.php>

რეგისტრირებულ მონაწილეებს ამ სამ კურსზე წვდომა შეეძლება დაუყოვნებლივ.

დისტანციურ კურსებზე წვდომისთვის ეწვიეთ ბმულს <https://ctconline.ge/course/index.php?categoryid=11>

თითოეულ კურსზე დაშვებისთვის გამოიყენეთ შესაბამისი კოდი (enrollment key)

- დაშვების კოდი კურსისთვის „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გზამკვლევი“ - nonprofit
- დაშვების კოდი კურსისთვის „პროექტის ლოგიკა მარტივად“ - project
- დაშვების კოდი კურსისთვის „ლიდერობა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში“ – lideroba

თითოეული კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა ონლაინ სერტიფიკატი. მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი სასწავლო მასალა.

„დისტანციური კურსები სამოქალაქო საზოგადოებისთვის“ წარმოდგენილია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის დისტანციური კურსების პლატფორმაზე www.ctconline.ge

დისტანციური კურსები სამოქალაქო საზოგადოებისთვის შექმნილია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტის (ACCESS) ფარგლებში.

კურსების აღწერა

კურსი „საზოგადოებრივი ორგანიზაციების გზამკვლევი“

სამიზნე აუდიტორია

კურსი განკუთვნილია სამოქალაქო საზოგადოებითა და არაკომერციული ორგანიზაციებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. მათ შორის სტუდენტებისთვის და მათთვის, ვინც ახლა იწყებს მუშაობას არაკომერციულ ორგანიზაციებში, ან ახალი ჩართულია სამოქალაქო აქტივიზმში.

კურსის მიზანი

კურსის მიზანია მონაწილეებს სამოქალაქო საზოგადოებისა და არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ საბაზისო ცოდნა მიაწოდოს. კურსი წარმოადგენს ერთგვარ წინაპირობას არაკომერციული ორგანიზაციების მართვის, სამოქალაქო საზოგადოებისა და აქტივიზმის ჩაღრმავებელი სწავლების მსურველთათვის.

კურსის თემები

1. სამოქალაქო საზოგადოება - ცნება და სამი ხედვა
2. სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო განვითარება
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ეკოსისტემა
4. მენეჯმენტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში I - მიმოხილვა
5. მენეჯმენტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში II - თავისებურებები და გამოწვევები

კურსი „პროექტის ლოგიკა მართვად“

სამიზნე აუდიტორია

კურსი განკუთვნილია მათთვის, ვისაც აინტერესებს შედეგზე ორიენტირებული განვითარების პროექტების დაგეგმვა-განხორციელება და სურს შექმნას საპროექტო იდეის დიზაინი ლოგიკური ჩარჩოს გამოყენებით.

კურსის მიზანი

კურსის მიზანია მონაწილეებს გააცნოს პროექტის დიზაინის ინსტრუმენტები; დაეხმაროს მათ სოციალურ ცვლილებებზე მიმართული ინიციატივების ჩამოყალიბებაში და დასაბუთებული, რეალისტური, თანმიმდევრული საპროექტო განაცხადების მომზადებაში.

კურსის თემები

1. პროექტი და მისი სასიცოცხლო ციკლი
2. სიტუაციური ანალიზი - დაინტერესებული პირები
3. სიტუაციური ანალიზი - პრობლემის ანალიზი
4. ცვლილებების თეორია - ეფექტების ჯაჭვი
5. ლოგიკური ჩარჩო
6. ინდიკატორები

კურსი „ლიდერობა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში“

სამიზნე აუდიტორია

კურსი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს შეიტყოს ლიდერობისა და გუნდური მუშაობის შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონტექსტში.

კურსის მიზანი

კურსის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ორგანიზაციული ლიდერობის, გუნდის ჩამოყალიბების, მოტივაციისა და ორგანიზაციული კონფლიქტის მართვის საფუძვლები.

კურსის თემები

1. ლიდერობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში
2. გუნდური მუშაობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ჯგუფებში
3. კონფლიქტის მართვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში
4. მოტივაცია და უკუკავშირი